საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

შაბათი მაისი 14

1921 წ.

ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ქვრივი პელაგია ფილიპეს ასული შვილებით: ნატალია, ნინო, ელენე, ესტატე, პანტელეიმონი და იასონი, რძლები ეკატერინე და ანა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ქმარი, მეორეების მამა და დანარჩენების მამათილი

მღვდელი **იასონ ბარნაბიშვილი**

რომლის დაკრძალვა მოხდა სოფ. ახალ სოფელში მაისის 10-ს. შაბათს, მაისის 14, დანიშნულია მიხეილის სავადმყოფოს ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. 27

ძმა დეკანოზი დავით ბარნაბიშვილი მეუღლით ქეთევანით და შვილებით ნინო, ევდოკია და მიხეილით, რძალი მარიამი, სიძეები ალექსანდრე ნეიმანი და ვლადიმერ ბასილია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ მღვდელ

**იასონ ბარნაბიშვილის**

სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება მიხეილის სავადმყოფოს ეკლესიაში შაბათს, მაისის 14. 27.

ალექსანდრა იასონის ასული ოქროპირიძისა შვილებით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი მამის და პაპის მღვდელ

**იასონ ბარნაბიშვილის**

სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, მაისის 10 ს, მიხეილის სავადმყოფოს ეკლესიაში პანაშვიდი 12 საათზე. 971

1921 წ. მაისის 2-ს ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ინჟ ნერი

**ლევან ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი**

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები სიძეები და შვილიშვილები ფერდინანდი, ანდრია, დავით თუმანიშვილები, მაგდანილე და სტეფანე გოკიელები შვილებით, ნინა და ალექსანდრე გოგავაები ბავშვით და აგნესა ლევანის ასული აკოფაშვილისა ბავშვით. პანაშვიდი გარდაცვალებულის ბინაზედ 7 ნახ საათზე საღამოს. გამოსვენება შაბათს მაისის 14-ს დილის 10 საათზედ საკუთარ ბინიდან (მეორე თუმანოვის ქუჩა № 15) კათოლიკეთა ეკლესიაში (ნიკოლოზის ქ.) დაკრძალვა კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზედ. 976

კვირას 15 მაისს, დიდუბის ტაძარში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი, ხუთი წლის თავზედ გარდაცვალებიდან, მგოსნის

**იროდიონ ევდოშვილის**

და

ოთხი თვის წინეთ გარდაცვალებულის, ერთად-ერთი ვაჟის სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტის

**ვანო ხოსიტაშვილის**

სულის მოსახსენებლათ რასაც აუწყებენ გულითადის მწუხარებით ნაცნობთ და მეგობართ, პირველის მეუღლე და მეორის დედა მარიამ ივანეს ასული თავის შვილებით: თამარ, ეკატე და თინა ხოსიტაშვილები. წირვა დაიწყება დილის 10 საათ. პანაშვიდი 12 საათზედ.

კვირას, მაისის 15, შუადღის 2 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი დენებული

**გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგის**

და მისი მეუღლის

**ელისაბედ ალექსანდრეს ასულის**

სულის მოსახსენებლად, გარდაცვალებიდან—პირველის ორმოცი დღის და მეორის სამი წლის შესრულების გამო, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ; ეკატერინე როსტომის ასული ყაზბეგი, ანა დიმიტრის ასული ყაზბეგი—დოლიძერიძე, ნინო ნიკოლოზის ასული მაჭუტაძე, თამარ და ბარბარე ნიკოლოზის ასულნი ალექსი მესხიშვილები. 978

კვირას, მეორმოცე დღეს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში იქნება გადახდილი წირვა და შემდეგ 12 საათზე პანაშვიდი (მსახიობების პანთეონში) გარდაცვალებულ

**კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შათირიშვილისა**

რასაც აუწყებენ ნათლულები დავითი და კონსტანტინე ფანცულაია დედით. 979

მომხმარებელთა საზოგადოება **„მეურნე“**-ს გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, მაისის 15-ს 1921 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია **წლიური კრება** კოოპერატივის წევრების, განსახილველია 1920 წლის ანგარიში დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება. 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) 1921 წლის ხარჯთ აღრიცხვა. 4) მიმდინარე კითხვები. კრება შესდგება სოც.-ფედერალ. ბიუროს ბინაზე დოლიძე-მელიქოვის ქუჩა № 1.
გამგეობა. 28

## დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამა წლის მაისის 15-ს დილის 11 საათისთვის, იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. ძველი გამგეობის მოხსენება.
2. დროებითი გამგეობის მოხსენება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. კავშირის რეორგანიზაცია.
5. შრომის ბირჟა.
6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
7. მიმდინარე საკითხები.

წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება კანონიერათ ჩაითვლება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ, ვინაიდან ის მეორეთ ინიშნება.

947 კავშირის გამგეობა.

კვირას, მაისის 15-ს დილის 11 ს.

**სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში**

პლეხანოვის პროსპექტი № 123

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მეორე რაიონული კოლექტივის პრეზიდიუმი იწვევს წევრთა

**საერთო კრებას**

დღის წესრიგში დგას. ძლიერ მნიშვნელოვანი კითხვები. 977

აპრილის 23-ს ტფილისის სადგურში, ტუპაგლში გასაგზავნათ (35482 № კვიტანციაზე) მიიღეს ხუთი ნაჭერი (ადგილი) ბარგი, რომელთაგანაც ტყიბულში მხოლოდ სამი ნაჭერი მისულა. ერთი კვირის შემდეგ მისულა მეოთხე ნაჭერიც; მეხუთე ნაჭერი, ხის ყუთი ბარგით დღესაც არა სჩანს ამ ყუთს ზედ აწერია „რაჭა“, „წესი“, ჰიპინაძეს.

**ყველა სადგურების საბარგო განყოფილებებს ვთხოვთ**

ეუთოდღეობა ძიებრიოლ ასეთს და აღმოჩენისთანავე ტყიბულში გაგზავნოთ, თუ ვინმე აღმოაჩენს ვთხოვთ საჩქაროდ გვაცნობოს: ტფილისში, სუმბათოვის ქუჩა № 7, ახ ლიხსდ-გის სამსახურში (СЛ. ПУТИ) ტექნიკურ საქმეთა აღმასრულებელ. ხეგ. ჰიჰინაძეს.

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად ხიფილისი (914 დ 606) სქესობრივი ორგანოები, ვენერიული ხუხუნათი და შარდები.

ახალი იერუსალიმის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

## ფურცლები

25

**პასუხი.**

ქ. გამსახურდიას ძიმართვის გამო ლენინადში რუსულ გაზეთ „პრავდა გრუზიი“-ში ს. პ. ფელეტონია დაბეჭდილი. ჩვენ ვისწრაფვით ანგარიში გაუწიოთ ფელეტონს იმისათვისაც, რომ რედაქციას იგი უტვდენს მთელ რიგ კითხვებს გარკვეული პასუხისათვის და ჩვენც სავსებით გარკვეულ პასუხით გვინდა მოქ. ს. პ. გაუმასპინძლდეთ. შეიძლება ამ კამათს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა მიეცეს—რისი სურვილი ძალიან დიდია ჩვენში.

ჯერ ერთს მცირე გარკვევის შესახებ. ს. პ, გვეკითხება—ვიზიარებთ თუ არა ჩვენ ქ. გამსახურდიას წერილს. პასუხი—არსებითად ვიზიარებთ, თუმცა ქ. გამსახურდია ლენინს მიმართავს როგორც ქართველი მწერალი და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ძალა. ეს დაწერილი აქვს გამსახურდიას და ამ განცხადების ლიტერატურული მნიშვნელობა რად ვერ გაუგია მოქ. ს. პ.-ს, ჩვენ გვიკვირს.

რასაკვირველია იმის ძიებას არ შევუდგებით აქ თუ რას ნიშნავს პარალელების გაყვანა დიდ მოღვაწეებს შორის. იყო მომენტი როდესაც მაკდონალდის მოღვაწეობაში როცა იგი გატაცებას მიყვებოდა ბოლშევიკების სასარგებლოდ. მაშინ რ. მაკდონალდი ტროცკის სამხედრო ხელოვნებას ნაპოლეონის გენიას უდარებდა. განა ეს რითიმე ნიშნავდა ბონაპარტიზმის აღიარებას?—რა თქმა უნდა არა!

გამსახურდიას მთელი წერილი ერთს მთავარ აზრს ეხება აგებული—ლენინის შემოქმედება წარმოდგენილია როგორც უმაღლეთი სოციალისტური რევოლიუციონური შემოქმედება. ესეც დავიწყებია მოქ. ს. პ—ს და ამას მერე კი იგი ლენინს ბონაპარტიზმთან აკავშირებს! ბონაპარტიზმი როგორც დიდი ნაპოლეონის, ისე პატარა ნაპოლეონის სულდგმულობის საოცარი პოლიტიკური იმპროვიზაციით და ავანტიურით, მაგრამ დიდი ნაპოლეონის შემოქმედების სივა და სხვა ეტაპებში მარადიული, რევოლიუციონური მომენტებიც არის, რომელიც ოიძენტეამდ დარჩა მხოლოდ. გამსახურდიას წერილში არსად ეს ავანტიურიზმი არ არის არც ნაგული. ხსევი, არც წარმოდგენილი და ს. პ.-ს. მართლა ავადმყოფურ ფანტაზიას მიეწერება ლენინის ახალ. გია ბონაპარტიზმათ.

ნუ გონია „პრ. გრუზიას“, რომ ლენინის მთელი მსოფლმხედველობა ციდან ჩამოვარდნილი ბურთია, არა, ჩვენ მრავალი დებულება შეგვიძლია ავილოთ ძველის ძველი კომუნისტების, საფრანგეთის რაციონალისტების, სოციალისტ-უტოპისტების და ვნახოთ მათთან ლენინის დებულებათა ნათესაობა, მაგრამ ეს კიდევ ოდნავადაც არ ნიშნავს ლენინის სისუსტეს ან იმას, რომ ლენინი კამპანელას, კონსიდერანის ან ფურიეს მოძღვრების მოწაფე იყოს.

ჩვენ თავს ვანებებთ საკითხის ამ მხარეს. გადავიდეთ ეროვნულს საკითხზე. გამსახურდიაც და სისტემატიურად ჩვენი გაზეთი ერთს მთავარს დებულებად სცნობს შემდეგს: ეროვნული საკითხი ბურჟუაზიულმა ვერ გადაჭრა. ვუდრო ვილსონმა კიდევ მეტად არია ეს საქმე და მუდამ ვამბობდით და ვამბობთ—ეროვნულს საკითხს მხოლოდ სოციალიზმი და სოციალისტური რევოლიუცია გადასჭრის.

მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ეროვნული საკითხის გადაჭრა ეროვნებას უარყოფას მოასწავებს, ან სოციალიზმი ივიწყებდეს ერს, როგორც ასეთს. ერი და ეროვნება არსებობდა კულტურის ყოველს ხანაში და იგი დარჩება მომავალს კულტურის ყოველს პირობებში. ისპობიან სოციალური კატეგორიები, წოდებები, ხალისხები, კლასები რჩებიან ერები. ამგვარად ჩვენ შეგვიძლიან შევსცვალოთ ერის ფორმები, პოლიტიკური და ეკონომიური წესები, მაგრამ ერის ბუნებრივ ატრიბუტებს ვერ მოვსპობთ, ვერ შევასუსტებთ. ეროვნებისათვის კაპიტალიზმი, ფეოდალიზმი, ყოველი კულტურა არის ხელოვნური ატრიბუტი, მაგრამ ენა, სამშობლო, ტერიტორია მისი ბუნებრივი კალაპოტია. ბუნებრივის გზით ერი არ კარგავს არც ენას, არც ტერიტორიას და სოციალიზმის უმაღლესი იდეაც იმაში მდგომარეობს, რომ მახინჯ ხელოვნებას იგი სპობს, ხოლო ახვითარებს ბუნებრივ თვისებებს ერისას.

ერის ბუნებრივი თვისებები აუცილებლივ უნდა შევინახოთ, განვავითაროთ იგი კულტურის მიხედვით, გავაღრმაოთ ცივილიზაციით, მაგრამ ვერ მოვსპობთ ვერას გზით. აი ეს არის მთავარი ჩვენი საფუძველი ერის შემოქმედებისა. ჩვენთვის მისაღებია ყოველი პოლიტიკური მართვა-გამგეობა, ყოველი ეკონომიური სისტემა, რომელიც ამ მთავარს მიზანს გაახალდება. ჩვენ სოციალიზმი, პროგრამა და რევოლიუცია გვინდა არა კლასისათვის, არა რევოლიუციისათვის, არამედ ერების განთავისუფლებისა და სრულყოფისათვის. ხოლო თუ ჩვენ ვსდგევართ სოციალისტურ რევოლიუციის მწკრივში უმთავრესად იმ მაღალი შეგნებით, რომ მხოლოდ სოციალიზმი და სოციალისტური რევოლიუცია აძლევს ერს და მის ელემენტებს—კლასებს გაერთიანების და თავისუფლების საშუალებას.

ამ დებულების მიხედვით უნდა სწარმოებდეს ბრძოლა. კომუნისტურ ინტერნაციონალის და კომუნისტურ პარტიის დადგენილებებს ამ ხაზით ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ, ჩვენს გაზეთში ვბეჭდავთ სამისო ძვირფას მასალას, ვაცხადებთ, რომ ეს რეზოლიუციები მეტად სასურველი და საყურადღებოა, იმიტომაც ვიზიარებთ კომუნისტებთან მუშაობის აზრს, რომ არ დაგვეკარგვია რწმენა ამ რეზოლიუციების, მაგრამ დარაჯად ვსდგევართ, რათა ეს რეზოლიუცია პრაქტიკამ არ გარყვნას, რაიცა არსებითად გამოიწვევდა თვით სოციალიზმის უმაღლეს მიზნების შელახვას.

ვუდრო ვილსონმა თვალის მომჭრელი პუნქტები გამოაქვეყნა ესერებისათვის. იგი არავის დაუჯერა ვინაიდან სიტყვა სხვა იყო, საქმე კიდევ სხვა.

ჩვენ სოციალიზმის საქმი კი არა გვჯერა, ვიცით და ვიცით სოციალიზმთან სდგას და ეროვნულის საკითხს სწორედ, ჩვენ სოციალიზმიდან კი არ გავრბივართ, არამედ ვამბობთ—იგი სოციალიზმის შემრყვნელია, ის უნდა გადებულ იქმნას სოციალისტურ ბანაკიდან.

სოციალიზმი საჭიროებს დიდ ფედერაციას და ეროვნული საკითხი ძალიან ადიდებს დღეს და გაადიდებს მომავალშიაც ფედერაციის ობიექტს.

ს. პ. ჩვენ გვირდგენს ზოგიერთ კითხვებს. პირველი: როგორ უყურებს გაზ. „სოც.-ფედ." რკინის გზების გაერთიანების საკითხსო?—აი ჩვენი პასუხი: ჩვენ მომხრე ვართ პირდაპირი მიმოსვლა არა მარტო ბათომ-ბაქოში, არამედ ბათომ-პარიზში, მაგრამ იმიტომ, რომ მატარებელი პარიზს მიდიოდეს სრულიად საჭირო არ არის წაიშალოს ხუნზიდან საქართველოს რკინის გზა, ხოლო შემოღებულ იქმნეს გზაზე ქართული ენის მაგიერ ფრანგული ენა, ან საფრანგეთში თუნდაც იქ საჭიროა წყობილება დამყარდეს იქ ხელმღვანელ იქმნას ბათომის მატარებლის მისვლით ქართული ენა.

ჩვენ ვეკითხებით ს. პ.—ს: გაიგეთ თუ არა ჩვენი აზრი და თუ გაიგეთ არის თუ არა იგი მისაღები ყოველ ნამდვილ კომუნისტისათვის?

ეხლა საზღვრებზე. ჩვენ ვლაპარაკობთ საქართველოს სახელმწიფოებრივ საზღვრებზე და არა საბაჟოებზე. საბაჟოები ტეხნიკაა, პოლიტიკაა, საზღვარი კი პრინციპი. თქვენ გამორკვეული ხართ საბაჟოზე, მაგრამ სრულიად გამოურკვეველი საზღვრებზე. თქვენ მოსპეთ საბაჟო, პიკეტები, ტეხნიკური ფორმები, ამას ჩვენთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ იქ სადაც წინად საბაჟოები იყო ის ადგილები დარჩა თუ არა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრად, ან თუ ეს საზღვარი შეცვლილია სად არის დღეს და როგორ?

გასაგებია თუ არა ჩვენი აზრი? თუ არ არის გასაგები აი კიდევ ჩვენი აზრი: იქნება თუ არა საბჭოთა სისტემა, იქნება თუ არა რაიმე ფორმა სახელმწიფოსი—საზღვრები უნდა იყოს და აუცილებელია კიდეც დაცვა ამ საზღვრების. საბაჟოების საკითხს არავითარი კავშირი არ აქვს საზღვრების საკითხთან და უმორჩილესად გთხოვთ თავი გაანებოთ საბაჟოზე ლაპარაკს მაშინ, როცა საზღვრების არსებობის საკითხზე ვმუშაობთ.

თედო ღლონტი.

# გასტროლიორები ხელოვნებაში.

არასოდეს ისე გაიძულია და ცხოვრებული არ ყოფილა „ყანწელები"-ქართველ ხალხის სულიერ განცდას, დღევანდელ საქართველოს სინამდვილეს და, საზოგადოდ, ხელოვნების წმიდა პრინციპებს, როგორც პოეზიის დღეს—შვიდს მაისს.

ამ დღეს დარწმუნდნენ ურწმუნონიც კი, რომ დეკლარაციებისა და მანიფესტების მოყვარული ხალხი ერთხელ კიდევ გადაიჩენა იმ სიტყვათა შაბლონის მორევში, რომელიც ყოველთვის დამახასიათებელი იყო მათი, მეტი რომ არა ვსთქვათ, უსისხლობისა.

მართალია, პოეზია, ხელოვნება არ ემორჩილება არავითარ წინასწარ შემუშავებულ, განსაზღვრულ გეგმას, სისტემას, მაგრამ ისიც ცხადი გარეშეა ჩვენთვის, რომ საუკუნოებით შექმნილი და განსაზღვრული მიზნები ხელოვნებისა, რომელიც დამყარებულია თავისუფალსა და დამოუკიდებელ საფუძვლებზე, ყოველთვის ასულდგმულებდა პოეზიას, ლიტერატურას.

„პოეზიის დღე" და „პოეზიის საღამო" იშვიათი აზრთა არევ-დარევის მორევი გახლდათ,—ტრადიციულ უპრინციპობის ნიშანი—გრიგოლ რობაქიძისა და ტიციან ტაბიძის წერილებით და მოხსენებით შექმნილი. ქართველ მწერალთა საბჭოს მიერ გამოცემული გაზეთი, ეს არ იყო ნამდვილი ხმა, ჭეშმარიტი სიტყვა თანამედროვე სიტყვაკაზმულ მწერლობისა. ის უფრო „ბარიკადი"-ს ახალ ნომერს, მის გაგრძელებას მოგვაგონებდათ, ვიდრე დამოუკიდებელ, თავისუფალ სიტყვას ქართველ მწერლობისას, თუ, რასაკვირველია, არ მივიღებთ მხედველობაში იმ ორიოდე წერილსა და ლექსს, რომელიც უთუოდ შემთხვევით იყო მოთავსებული აღნიშნულ გაზეთში.

შეუძლებელია, რომ ორი—სამი თვის განმავლობაში არსებითად შეიცვალოს აზრი, მსოფლმხედველობა ხელოვანთა—ხელოვნების ძირითად პრინციპების შესახებ. ეს არც პოლიტიკური ნაბიჯია და არც რაიმე პრაქტიკული ხასიათის, მნიშვნელობის საკითხი, რომ შეიძლებოდეს მისი ასე ადვილად, უცრად გადაჭრა.

ხელოვნების საკითხი ერთხელ და სამუდამოთ გარკვეული და განსაზღვრულია თვით ხელოვნების მიერ, ის დროით არ განისაზღვრება, დროის კანონებს ვერ დაემორჩილება.

შეუძლებელია პოლიტიკურ თავისუფლებას, სოციალურ რევოლიუციას დაუკავშიროთ პოეზიის მარადიული მიზნები.

ვერც სოციალური რევოლიუციის კარნახი შესცვლის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულს, ჭეშმარიტ სულს, შინაგან თვისებებს პოეზიისას.

ხელოვნება კოსმიური მოვლენაა. ჭეშმარიტი შემოქმედება ყოველთვისა და ყოველ შემთხვევაში საკაცობრიო, მსოფლიო მოტივების მატარებელია,—უნივერსალური მიზნები ახასიათებენ მას. იგი ერთსა და იმავე დროს შესაძლებელია ეროვნულიც იყოს და ინტერნაციონალისტურიც,—ქართულ სულსაც ატარებდეს და საკაცობრიო მოტივებიც იყოს შიგ გაზნეული. იგი მუდამჟამ დამოუკიდებელია, თავისუფალი. ჭეშმარიტი ხელოვნება ვერ დაემორჩილება დროის კანონს, ამ კანონით ვერ ისარგებლებს, იგი არ არის ფოტოგრაფიული სურათი სინამდვილისა, პუნკტუალური აღსახვა ადამიანის თვისებებისა, საზოგადოებრივ მოვლენათა.

გიოტეს თავისი „ფაუსტი" რევოლიუციის ან რეაქციის კარნახით როდი შეუქმნია. არც სხვა რომელიმე ეროვნული შემოქმედება დამორჩილებია პოლიტიკურსა და სოციალურს გადატეხას.

შესაძლებელია ამა თუ იმ ხელოვანმა აღსახოს თანამედროვე სინამდვილე, ჩასწვდეს თავის დროის ცხოვრების დამახასიათებელ მხარეს,—მეტსაც ვიტყვით: შესაძლებელია ცალი ლიტერატურული მიმართულება აჰყვეს დროს და თავისი შემოქმედება ამ დროით განსაზღვროს, მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვნება ვერასოდეს ვერ დაემორჩილება წარმავალს.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ „ცარიზმის" რეჟიმს ან კიდევ გერმანიის ძლიერ მილიტარიზმს შეეძლო გადაეხალისებია პოეზიის, ლიტერატურის სამარადისო მიზნები?

გრ. რობაქიძეს ეს შესაძლებლად მიაჩნია და მოგვითხრობს, რომ „დღევანდელი ხანა სოციალურ რევოლიუციის ხაზებში მიდის. იწყება ახალი ციკლი კულტურის, ეპოქა ინდივიდის უთმობს ადგილს ეპოქას მასებისას, დღეს მასიური განცდა რიტმია თვითონ სიცოცხლის. ინდივიდს რჩება საკუთარი განუკვეთელობა და თუ გნებავთ, განდეგილობაც, მაგრამ ყოველი ეს ხდება მასსების გაშლის ფონზე. ამის მიხედვით იცვლება თვითონ ესტეტიური აპერცეპცია მსოფლიოსი საგანნი და მოვლენანი დღეს ხელოვნითს მზერას სხვანაირად ეჩვენებიან".

არ არის მართალი ეს მოსაზრება, მართალი არ არის, რადგან ხელოვნებას არ შეიძლება დაედოს სარჩულად სოციალური რევოლიუცია, ან თვით კომუნიზმი მიტომ რომ აღნიშნული მოვლენები ყოველ შემთხვევაში წარმავალნი, დროულნი არიან.

რევოლიუცია, ისე როგორც რეაქცია შესაძლებელია ხელოვნებამ მასალად გამოიყენოს, მაგრამ შეუძლებელია ხელოვნება სარჩულად დაედოს რევოლიუციის პროცესს, ორგანიული კავშირი გაიბას მათ შორის. მაშინ ხელოვნება ხელოსნობას ვერ გასცილდებოდა, ტრაფარეტად იქცეოდა, თუნდაც „სხვანაირად რომ ეჩვენებოდეს ხელოვანთა მზერას საგანი და მოვლენანი დღეს".

ხელოვნება სწორედ იმ „განუკვეთელობას" და „განდეგილობას" ირჩევს, რომელსაც გრ. რობაქიძე ინდივიდს აკუთვნებს.

კომუნიზმი თავის თავად დიადი მსოფლმხედველობა, მასში ჩაქსოვილია საკაცობრიო ხასიათის იდეები,—სოციალური და პოლიტიკური მოტივებით განსაზღვრული, მაგრამ ეს მსოფლმხედველობა, ეს, თუ გნებავთ, მას ური მოვლენა ვერ დაედება სარჩულად ხელოვნებას, ვერ გადაიქცევა მისი შინაგან თვისებათ, თუნდაც კომუნიზმი მთელ კაცობრიობას რომ მოედოს.

კაპიტალიზმი, კომუნიზმი, სოციალიზმი, ეს ეკონომიური და სოციალური ხასიათის მცნებანი არიან. ისინი წარმავალნი, ცვალებადნი, დროულნი არიან არსებითად, მაშინ, როდესაც ხელოვნება მარადიული მიზნებით ხასიათდება, იგი განუმეორებელია, დამოუკიდებელი, თავისუფალია ყოველთვისა და ყოველ შემთხვევაში და მისი დაქვემდებარება, დაკავშირება დროულზე, წარმავალზე შეუძლებელია.

ხელოვნებას [illegible] უფრო განყენებული იდეა [illegible] ვიდრე ეკონომიური და სოციალური საკითხთა სამეფო...

ხელოვნებას მსოფლიო სევდა, ფილოსოფიური პესიმიზმი უფრო ახასიათებს, ვიდრე ეროვნული და სოციალური ჩაგვრით გამოწვეული ტანჯვა და მწუხარება. ხელოვნება ტრანსცედენტალური მხარით უფრო არის გატაცებული, ვიდრე ემპირიულ მოვლენათა გაშუქებით. მშვენიერების, სიყვარულის, სიკვდილ სიცოცხლის, სიცოცხლის აზრის, მარადისობის საკითხები უფრო იტაცებენ მას, ვიდრე კომუნიზმის განხორციელება ან კაპიტალიზმის დამხობა.

ხელოვნება, უმეტეს შემთხვევაში, გრძნობას ეყრდნობა, გრძნობათა ნაყოფი უფრო არის, ვიდრე ცოდნით გაშუქებული საკითხი ხშირად ცოდნა სდუმს,—ხელოვნება მეტყველებს; სადაც ცოდნა, მეცნიერება უძლურია ახსნას, განმარტოს სიცოცხლის საიდუმლო, წყვდიადით მოცული მხარენი,—იქ ხელოვნება მძლეთა-მძლეთ ხდება, გრძნობას ამეტყველებს და ეს სიტყვა უფრო ძლიერი, უფრო გასაგები და ჩვენთვის მისაწვდენია, ვიდრე მეცნიერების ბრძნული მტკიცება.

აი სწორედ ამ გრძნობათა მორევში არის სიძლიერე ხელოვნების შინაგანი თვისებებისა, ჭეშმარიტი შემოქმედების სული, ხელოვნების სამარადისო მიზნები.

რასაკვირველია გრ. რობაქიძისა და ტიც. ტაბიძის შეხედულება ხელოვნებაზე—ეს არ არის ქართველ მწერალთა აზრი და არც 7 მაისს გამხდარა იგი ქართველ მწერალთა აზრად.

ჩვენ არასოდეს ვეწინააღმდეგებით სულიერ ტრანსფორმაციის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ეს ტრანსფორმაცია ღრმად წარმოდგენილი გვქონდა, როგორც შედეგი დიდი სულიერი განცდისა და არა მდგომარეობათა მიხედვით.

გრ. რობაქიძე და ტიც. ტაბიძე, მეტი რომ არა ვსთქვათ, იმ ბავშვური სვადმყოფობით არიან დაავადებულნი, რომელიც „ლევიზნით", მემარცხენეობით არის განსაზღვრული, მათ ეს „ლევიზნა" სურთ ხელოვნებაშიც შემოიტანონ და მოწადინებულნი არიან დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ კომუნიზმსა და თანამედროვე ხელოვნებას და განსაკუთრებით კი პოეზიის შორის იბმება იდუმალი კავშირი, მტკიცდება ორგანიული ურთიერთობა და „ამის მიხედვით იცვლება თვითონ ესტეტიური აპერცეპცია მსოფლიოსი".

ამგვარი იყო „პოეზიის დღის" ორი მოწინავე წერილი და მოხსენება „პოეზიის საღამოზე" გრ. რობაქიძისა.

მკითხველ და მსმენელ საზოგადოებას ეს წერილები და მოხსენებები მწერლობის საერთო სიტყვად მოაჩვენეს მაგრამ აღნიშნულ მოხსენებაში და წერილში უფრო კონტრაბანდით შემოპარებული შეხედულება იყო „ლევიზნის" მოტრფიალე ყანწელებისა.

ქართულ პოეზიის, ქართველ მწერლობას აქვს თავისი სიტყვა და შეხედულება, რომელიც, შესაძლებელია, წერილებში და მოხსენებებში არ გამოუმზეურებია 7 მაისს, მაგრამ ის ცხადი და ნათელი იყო ყველასათვის საღამოზე შექმნილ იმ სულიერ კავშირით, რომელიც დაიბადა მგოსნების შორის და იმ ორიოდე სიტყვით, რომლითაც ს. აბაშელმა მიმართა დამსწრე საზოგადოებას; „გაუმარჯოს თავისუფალ პოეზიას დამოუკიდებელ საქართველოში".

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი რომ ქართული ლიტერატურა—პოეზია, რომელსაც ძვირფასი და დიადი ტრადიციები ასულდგმულებენ, წინაპართა მიერ შთაგონებული, პოეზია, რომელსაც ამშვენებს შოთას, ბესიკის, ბარათაშვილის, ილიას, ვაჟა ფშაველას და სხვათა სახელები ვერ გაჰყვება გასტროლერებს ლიტერატურაში და თავის მიზანს, აზრს, შეხედულებას და ხელოვნების დიად პრინციპებს ვერ დაამყარებს წუთიერ მოვლენებზე.

და არ შევცდებით, თუ ჩვენც, მწერლობასთან ერთად, გავიმეორებთ: გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას—თავისუფალსა და დამოუკიდებელს საქართველოში!..

ქ. აბაშიძე.

# სანოვაგის მომარაგება გორხალის მაზრაში

გრუკავრონტის ცნობით, ბორჩალოს სამაზრო სასურსათო კომიტეტი ახმაგსერალის სადგურზე ენერგიულ მუშაობას ეწევა საკლავ საქონლის შეძენის საქმეში. დღემდე შეძენილია საქონელი 1000 სულამდე. ყველა ეს იგზავნება ტფილისში. მცხოვრებლები დიდს დახმარებას უწევენ სასურსათო კომიტეტს რომელიც ფულის ნაცვლად მცხოვრებთ აწვდის სხვა და სხვა აუცილებელ საქონელს. მცხოვრებთა შორის მარილისა და ნავთის დიდი საჭიროებაა. ამიტომ საჭიროა ამ სანოვაგის მოწოდება მათთვის. შულავერში უკვე მოეწყო რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კომუნა, შესდგა ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი და საქალაქო განყოფილება. მათი სამუშაო განკარგულებისათვის გადადებულია სათონელი მამულებიდან 10 დესეტინა მიწა. საქალაქო განყოფილებამ დაამუშავა 10 დესეტინა მიწა. დათესეს უმთავრესად სიმინდი მოსამსახურეთათვის და ღარიბ მცხოვრებთათვის.

# ახალი ამბები

— მომარაგების სახალხო კომისარიატში. იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანებში გავრცელებულია პროვოკაციული ხმები საქართველოს საზღვრებიდან ყოველივე განძეულობის ვითომცა გატანის შესახებ რკინის გზის მოსამსახურეთა პროფკავშირის პლენუმი რევკომის წარმომადგენლებთან ერთად სთხოვს მომარაგების სახალხო კომისარიატს სურსათ-სანოვაგის შემოტანილ და გატანილ რაოდენობის გამოქვეყნებას. მომარაგების სახალხო კომისარიატში სპეციალური კომისია, ადგილობრივ კომიტეტების კომისრიკის, საბჭოთა მუშების პროფკავშირის წარმომადგენლების და კოლეგიის შემადგენლობით 11 მაისიდან შეუდგა მომარაგების სახალხო კომისარიატის მოსამსახურეთა ახალ რეგისტრაციას. ახალ რეგისტრაციისათვის გამომუშავებულია დაწვრილებითი ანკეტა. ახალ რეგისტრაციას დამთავრებამდე არავითარი მიღება სამსახურში არ იქნება.

— გიორგის სახელობის ამერიკულ კომიტეტის სახადილოში. არასიხელისიერ პირთა ცდის გამო სურსათ სანოვაგის უფასოთ მიღებისათვის გიორგის სახელობის სასოილოს გამგის რწმუნებულ ს. ვ. წერეთლის ქალის თაოსნობით დაწესებულია ახალი წესი სასადილოში ჩავშთა და ავადმყოფთა კვების შესახებ. შუამდგომლობის მიღების თანავე მთხოვნელის ბინაზე იგზავნება კონტროლიორი, რომელიც არკვევს მთხოვნელის მდგომარეობას. კონტროლიორის ცნობის მიღებისთანავე იგზავნება კვლავ მთხოვნელთან ექიმი, რომელიც გამოიერკვევს კვების აუცილებლობას გამოარკვევს. ამის გარდა სახლის კომიტეტის მოწმობა ცაა საჭირო.

— სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალში. მაისის 9, დაუსწრებლად გაირჩა „საქმე" შემდეგ ბრალდებულთა: სამეურნეო გუნდისა უფროსის პარუჩიკ ბიკოვისა. იარაღის ამკრები განყოფილების უფროსის თანაშემწეთ ნამყოფი ალექსი ზაქაროვისა, რომელსაც ბრალად ედებოდა სახალხო ფულის გაფლანგვა, ლოთობა, წესიერების დარღვევა და საპატიმროდან გაქცევა და წითელი არმიელის სტეფანე სპირინის, რომელსაც ბრალდებოდა ლოთობა, სიყალბე მოთხოვნილებითი უწყებებზე ხელის მოწერის სახით, სახალხო ფულის გაფლანგვა, წესიერების დარღვევა და საპატიმროდან გაქცევა. საქმის ვითარება შემდეგშია: 1920 წლის მარტში ბრალდებულები [illegible] ქეიფში გადაანგარიშებს [illegible], რომელიც [illegible] ვებით 100,000 მან. ქეიფის დროს ჩხუბობდნენ, მყუდროებასა და წესიერებას არღვევდნენ, როდესაც მთლად შემოელამათ ფული—ბრალდებულებმა ფულის უწყებების სიყალბე გააკეთეს. ბიკოვმა იცოდა, რომ ეს საქმე ადრე თუ გვიან გამოქვეყნდებოდა და თვით შეიტანა ამის შესახებ განცხადება, რის შემდეგ სამივენი ბრალდებულის სკამზე მოხვდნენ. ბრალდებულნი დაიჭირეს, და დაპატიმრეს სამოქალაქო ციხეში, მაგრამ ისარგებლეს განჯის აჯანყებით შარშან მაისში გაიქცნენ ციხიდან და დღემდე არ არიან დაპატიმრებულნი. რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა დაადგინა გამოაცხადოს სამივე ბრალდებული კანონს გარეშე.

# რადიო

ანგორის ფრონტზე.

ბათომი. ტრაპიზონიდან იუწყებიან ანგორის სამხედრო ცნობებს: კოჯეელის რაიონში, ძმის ვიწროებში თოფის და ტყვიის მფრქვეველების სროლა იყო ანგორის ლაშქრის მზვერავებსა და მოწინააღმდეგეს სადარაჯოებს შორის. საპაჯის რაიონში შეტაკება მოხდა. კორდორის რაიონში მოწინააღმდეგე გაიქცა. ბრუსის მიმართულებით ზარბაზნის სროლაა. უშაკის მიმართულებით ოსმალეთის ნაწილებმა კირკაჯანის ახლოს დაანგრიეს რკინის გზის ხიდი. ტყვეთ ჩაიგდეს ოფიცერი მფრინავით, რომელიც ჩამოვარდა შუშეს რაიონში. მახდარას რაიონში ოსმალეთის საყარაულო პოსტმა გარეკა მოპირდაპირის მზვერავები და წაართვა მათ საქონელი. გიზგლიარის რაიონში ბერძნებმა ხიშტით თვალები დასთხარეს მომუშავე ორ გლეხს. ადანში და მესოპოტამიაში სიწყნარეა.

ფულის კურსი.

ტრაპიზონი. ტრაპიზონში ნიკოლოზის ბუთასმანეთიანები კუ სით დიოს 5 ნახ. ოსმალური ლირა. კერენსკის ათასმანეთიანი კურსით ღირს 70 პიასტრი ქაღალდის დოლარი—ერთი ლირა და 25 პიასტრი, რუსული ოქროს თუმნიანი 6 ლირა და 25 პიასტრი.

სპარსეთის ქვეშევრდომნი.

სოხუმი. რევკომის ბრძანებით, მთელ აფხაზეთში სპარსეთის ქვეშევრდომთა ქონებას არ შეიძლება რეკვიზაცია ეყოს. სპარსეთის ქვეშევრდომებს ვერ გაიწვევენ სრულიადით სამუშაოზე.

ტეხნიკოსთა რეგისტრაცია.

სოხუმი. სახალხო მეურნეობის საბჭომ წინადადება მისცა სოხუმში მცხოვრებ ყველა იმ პირს, რომელთაც ტეხნიკური განათლება აქვთ მიღებული, და ყველა ტეხნიკურ სასწავლებელთა სტუდენტებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ სოვეტის რაციით, ვინც არ სოვა რეგისტრირებული სამართალში მიეცემა.

არ აქვს მას არც კუთხე და არც თავ შესაფარი.

მოსკოვი. პოლონეთის მთავრობის პარეზმა რუსეთის მთავრობის ზეგავლენით, პეტლიურის მთავრობისა და მის სახელმწიფო დაწესებულებათა ევაკუაცია დაიწყეს, მათ წინადადება მისცეს, დასტოვონ პოლონეთის ტერიტორია. პეტლიურამ გასცა ბრძანება, ყველა სამინისტროს ლიკვიდაციის შესახებ. პეტლიურას სადილიდან დარჩა (დამახინჯებულია) რომელთა რიცხვი 12.000 კაცს აღწევს.

გაზრჩენსა ეშინიათ.

რიგა. შეერთებული შტატების მთავრობამ მოზელის ოლქის საოკუპაციო რაზმის უფროს გენერალ ალენს აცნობა, რომ ამერიკელთა ჯარებმა რურის ოლქზე სამხედრო შეტევაში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი ფედ. მთავარი კომიტეტისა.

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მოწმობა ლავრენტი პ. მეხმის გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ. 980

დაიკარგა პასპორტი სახელმწიფო რაიკომიდან აღებული ბესარიონ იაკობის ძე ელიზბარაშვილის სახელობაზე, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 981.


სტამბა „სახალხო საქმე" ქალაქის ქუჩა № 14.